

ინფორმაცია

ბაზვი 1 ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 17.02.2021 წლის N1414/01 წერილში მოცემულ შენიშვნებთან დაკავშირებით

N	პირობები	რეაგირება
1	<p>საპროექტო ტერიტორია ემთხვევა გურიის გეგმარებითი დაცული ტერიტორიის წინასწარ მონახაზს, რაზეც სამინისტროს დელეგირებით მუშაობს ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის წარმომადგენლობა (WWF). შესაბამისად აღნიშნულ ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის განთავსების მიზანშეწონილობა საჭიროებს დასაბუთებას;</p>	<p>ბაზვი 1 ჰესის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მიხედვით დაგეგმილია ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე დერივაციული ტიპის ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება. წინასწარი კვლევის შედეგების მიხედვით, საპროექტო დერეფანში საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების გარემოდან ამოღებას ადგილი არ ექნება. მშენებლობის ფაზაზე ადგილი ექნება ფაუნის სახეობებზე ზემოქმედებას, მაგრამ ზემოქმედება იქნება მოკლევადიანი და შემოიფარგლება მშენებლობის პერიოდით. მშენებლობის დემობილიზაციის შემდეგ მოიხსნება ზემოქმედების ფაქტორები (ხმაურის გავრცელება, ადამიანის და ტექნიკის ხეობაში გადაადგილება, ჰაბიტატების ფრაგმენტაცია და სხვა) და ცხოველები დაუბრუნდებიან ადრინდელ სამყოფელს.</p> <p>ჰესის ექსპლუატაციის ფაზაზე ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკები არ იქნება მნიშვნელოვანი, გარდა წყლის ბიოლოგიური გარემოსა და წყალთან დაკავშირებული სახეობებისა. ზემოქმედების შემცირება შესაძლებელი იქნება ეფექტური შემარბილებელი, საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელების და სისტემატური მონიტორინგის პირობებში.</p> <p>საპროექტო არეალის ბიოლოგიური გარემოს წინასწარი კვლევის შედეგების მიხედვით, პროექტის განხორციელება ბიოლოგიურ გარემოზე შეუქცევად ზემოქმედებასთან დიდი ალბათობით დაკავშირებული არ იქნება. ზემოქმედების რისკების საბოლოო შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები მოცემული იქნება გზშ-ის ანგარიშში.</p> <p>დღეისათვის გურიის გეგმარებითი დაცული ტერიტორიის პროექტის შესახებ ინფორმაცია არ არის მომზადებული.</p> <p>პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციისა და WWF ის წარმომადგენლებს შორის შედგა შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც გაიცვალა ინფორმაცია მიმდინარე საქმიანობების შესახებ, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი სახით. WWF ის მიერ</p>

		<p>მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ბახვი 1 ჰესის საპროექტო არეალი შედის გურიის დაცული ტერიტორიის წინასწარი საზღვრების შემადგენლობაში, რაც ამ ეტაპზე შესაწვლის ფაზაშია, WWF-ის მიერ შესასრულებელი სამუშაოს დასრულება იგეგმება 2023 წლის 30 ივნისს.</p> <p>ცნობისათვის, WWF-ის მიერ მოწოდებული shp ფაილის მიხედვით, გურიის დაცული ტერიტორიის წინასწარ საზღვრებში, ასევე შედის ბახვი 1 ჰესის ანალოგიური, მოდინებაზე არსებული შემდეგი ჰიდროელექტრო სადგურები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ოპერირებადი: ბჟუჟა ჰესი, ბახვი 3 ჰესი, საშულა 1 ჰესი, საშულა 2 ჰესი • პროექტირების და ნებართვების მოპოვების ეტაპზე: ნატანები 1 ჰესი, ნატანები 2 ჰესი, ნატანები 3 ჰესი, ბახვი 2 ჰესი, ბჟუჟა 2 ჰესი, საშულა ჰესი <p>გზშ-ის ფაზაზე დაგეგმილია აქტიური კომუნიკაცია ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის წარმომადგენლობასთან (WWF) და მხედველობაში იქნება მიღებული ამ ორგანიზაციის შესაბამისი რეკომენდაციები.</p> <p>ასევე გვინდა რომ ავღნიშნოთ რომ კომპანიის კეთილი ნებიდან და მისი მაღალი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, დამატებით ადგილობრივი ექსპერტებისა, ვგეგმავთ საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია “SLR” (https://www.slrconsulting.com/) ჩართვას პროექტის ბიომრავალფეროვნების დეტალურად შესწავლის და გადამოწმების კუთხით. ვფიქრობთ რომ ეს ინიციატივა მოახდენს რისკების მინიმიზირებას ბიომრავალფეროვნების კუთხით და ასევე დაეხმარება ზემოხსენებულ პროექტს სწორი მიმართულებით წინსვლაში.</p>
2	სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ჰესის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განთავსების ალტერნატიული ვარიანტების shp ფაილები და გარემოსდაცვითი კუთხით დეტალური დასაბუთება აღნიშნულ ტერიტორიაზე ჰესის განთავსების უპირატესობის შესახებ;	ალტერნატიული ვარიანტების შეფასება, მათ შორის გარემოსდაცვითი კუთხით და მისი ანალიზი მოცემულია დანართში N1, ხოლო ალტერნატიული ვარიანტების shp ფაილები თან ერთვის დოკუმენტაციის ელექტრონულ ვერსიას.
3	ვინაიდან ბახმარო წარმოადგენს უნიკალური მიკროკლიმატის მქონე მაღალმთიან საკურორტო ზონას და დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ადგილობრივ კლიმატზე ზემოქმედების საკითხები მნიშვნელოვანია, რაც განხილული უნდა იყოს დოკუმენტში. სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია	კურორტ ბახმაროს ადგილობრივ კლიმატზე ზემოქმედების შეფასების მიზნით, ჩატარებული იქნა ბახვი 1 ჰესის სათავე ნაგებობებზე დაგეგმილი დამბის ზედა ბიეფეებში შექმნილი შეგუბების და სადაწნეო აუზის (საათობრივი რეგულირების ბასეინის) ადგილობრივ კლიმატზე შესაძლო ზემოქმედების გაანგარიშება (იხილეთ დანართი 2). შეფასება შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის კლიმატოლოგიის და აგრომეტეოროლოგიის

	<p>(შესაბამისი დასაბუთებით) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად (წყლის დაგუბება, როგორც ჰესის სათავე ნაგებობებთან, ასევე საათობრივი რეგულირების რკინაბეტონის კონსტრუქციის სამარაგო რეზერვუარში) ბახმაროს საკურორტო ზონის მიკროკლიმატზე ზემოქმედების შესახებ. ასევე მოცემული უნდა იყოს სამშენებლო ბანაკის მოწყობისა და მისგან გამომდინარე ზემოქმედების შესახებ და აღნიშნული ზემოქმედების შემცირების კონკრეტული შემარბილებელი ღონისძიებები;</p>	<p>განყოფილების გამგის, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ელიზბარ ელიზბარაშვილის მიერ.</p> <p>გასათვალისწინებელი გარემოებაა რომ მოცემული ზომის მცირე ჰესებისთვის შესაბამისი მეთოდოლოგია ხელმისაწვდომი არ არის, ვინაიდან მისი სარკის ზედაპირი იმდენად მცირეა რომ ის ვერ ახდენს ზეგავლენას მიმდებარე ტერიტორიის კლიმატის ცვლილებაზე.</p> <p>თუმცა, თუ გამოვიყენებთ დიდი ჰესების სარკის ზედაპირის კლიმატზე ზემოქმედების გაანგარიშების არსებულ მეთოდოლოგიას, რომელიც ვერ იქნება ზუსტი ბახვი 1 ჰესთან მიმართებაში, იმის გათვალისწინებით რომ ის გამოიყენება მხოლოდ დიდ ჰესებისთვის, შეგუბებების გავლენა შესაძლოა იყოს მხოლოდ უმნიშვნელო, რომელიც შემოსისაზღვრება მაქსიმუმ 200 მ რადიუსით .</p> <p>თუ გავითვალისწინებთ, რომ საპროექტო სათავე ნაგებობის დაცილება კურორტ ბახმაროს ტერიტორიიდან და უახლოესი დასახლებული ადგილებიდან მნიშვნელოვნად აღემატება 200 მ-ს (ჩადრეკილის დასახლება 630 მ, ხოლო კურორტ ბახმაროს ზონა 1760 მ), კურორტის კლიმატური პირობების ცვლილება არანაირად მოსალოდნელი არ არის.</p> <p>სკოპინგის ანგარიშის მომზადების შემდეგ, შეცვლილ იქნა სამშენებლო ბანაკის განთავსების ტერიტორია და ახალი ადგილმდებარეობის მიხედვით ბანაკის მოწყობა დაგეგმილია კურორტის სარეკრეაციო ტერიტორიის გარეთ. ჩატარებული გაანგარიშების და პროგრამული მოდელირების შედეგების მიხედვით, მშენებლობის ფაზაზე საკურორტო ზონის ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ნეგატიური ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს (იხილეთ დანართი 3)</p> <p>ჰესის ექსპლუატაციის ფაზაზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების წყაროები არ იარსებებს და ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.</p>
4	<p>ბახმაროს მიკროკლიმატის ჩამოყალიბებას გარკვეულწილად განაპირობებს ადგილობრივი ფლორის წარმომადგენლები, განსაკუთრებით წიწვოვანი ხე- მცენარეები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს წიწვოვან ხე-მცენარეებზე ზემოქმედების საკითხები, მათ შორის ამოღებას დაქვემდებარებული წიწვოვანი ხე-მცენარეების შესახებ ინფორმაცია;</p>	<p>ბახვი 1 ჰესის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მიხედვით, სათავე ნაგებობაზე დაგეგმილია დაბალზღურბლიანი დამბების (წყალმიმღების) მოწყობა, რომელთა ზედა ბიეფებში შეიქმნება მცირე ფართობის შეგუბება, შეგუბების პერიმეტრი პრაქტიკულად არ სცდება მდინარის აქტიური კალაპოტის ფარგლებს და შესაბამისად ხე-მცენარეების მოჭრა (არც წიწვოვანი და არც ფოთლოვანი) საჭირო არ არის. რამდენიმე ძირი ნაძვის შედარებით ახალგაზრდა ინდივიდი შეიძლება მოიჭრას მდ. ბახვისწყალზე დაგეგმილი წყალმიმღებიდან დაგეგმილ სადაწნეო აუზამდე მისაყვანი მილსადენის მოწყობის პროცესში.</p>

		<p>სათავე ნაგებობების სამშენებლო მოედნებზე ხე მცენარეები ძალზე მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი და ჭრას შეიძლება დაექვემდებაროს ზემოთ აღნიშნული რამდენიმე ახალგაზრდა ნაძვის ძირი.</p> <p>სადაწნეო მილსადენის და საავტომობილო გზის დერეფანი გაივლის მდ. ბახვის წყლის მარჯვენა სანაპიროს ფერდობის დაბალ ნიშნულზე სადაც დერეფნის სიგანე იქნება 30 მეტრამდე. როგორც სკოპინგის ანგარიშის 4.5.1. პარაგრაფშია მოცემული, პროექტის დერეფანში საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი მცენარეთა სახეობები წარმოდგენილი არ არის.</p> <p>რაც შეეხება წიწვოვანი ხე მცენარეების სახეობებს, მილსადენის საპროექტო დერეფანში გვხვდება ერთეული ეგზემპლიარები, რადგან მდინარის სანაპიროსთან სიახლოვის გამო, დერეფანში დომინანტი სახეობაა მურყანი.</p> <p>ჭრას დაქვემდებარებული წიწვოვანი ხე მცენარეების ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა მოხდება დეტალური აღრიცხვის ჩატარების შემდეგ, რაც დაგეგმილია გზშ-ის ფაზაზე.</p> <p>წინასწარი კვლევის შედეგების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით გარემოდან ამოსაღები მცენარეული საფარის, მათ შორის წიწვოვანი სახეობების რაოდენობა არ იქნება დიდი და კურორტ ბახმაროს კლიმატური პირობებზე ნეგატიურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. კომპანიის გარემოსდაცვითი პოლიტიკით განსაზღვრულია საკომპენსაციო რგვის ერთი სამთან პრინციპი, რაც გულისხმობს ყოველი მოჭრილი ერთი ხის სანაცვალოდ მინიმუმ სამი იგივე სახეობის ხის დარგვას შენებლობის დასრულებისთანავე.</p>
5	<p>კურორტი ბახმარო განსაკუთრებით დატვირთულია ზაფხულის სეზონზე, შესაბამისად, კურორტამდე მისასვლელი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის „ჩოხატაური-ბახმაროს“ საავტომობილო გზაზე და ბახმაროს ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე სატრანსპორტო საშუალებების ინტენსიური გადაადგილება აღინიშნება ზაფხულის სეზონზე. სკოპინგის ანგარიშში შემარბილებელ ღონისძიებებში განხილული უნდა იყოს დატვირთული გზების პირობებში სატრანსპორტო ოპერაციების შესრულების</p>	<p>როგორც სკოპინგის ანგარიშის 3.2.1. და 4.10. პარაგრაფებშია მოცემული, წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მიხედვით, საპროექტო ჰესის ნაგებობების განთავსების ტერიტორიებამდე მისასვლელად დაგეგმილი საავტომობილო გზები მოეწყობა როგორც ქვედა ბიეფიდან, ასევე ზედა ბიეფიდან. შესაბამისად პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სატრანსპორტო ოპერაციების შესრულება მოხდება ორივე მიმართულებიდან, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს კურორტ ბახმაროს მისასვლელი გზის გადატვირთვის ალბათობას.</p> <p>ამასთანავე, ძირითადი სამშენებლო მასალების (სადაწნეო მილსადენის მილები, ინერტული მასალები და სხვა) და სამშენებლო ტექნიკის შეყვანა საპროექტო ტერიტორიაზე მოხდება აქტიური საკურორტო სეზონის დაწყებამდე, ხოლო მისი</p>

	შესახებ ინფორმაცია და წარმოდგენილი უნდა იქნეს დასაბუთებული ალტერნატივები, როგორც ჰესის მშენებლობისათვის საჭირო სატრანსპორტო ნაკადების ზემოქმედების შესახებ, ასევე ექსპლუატაციისას აღნიშნული გზების გამოყენების საჭიროების შესახებ შესაბამისი შემარბილებელ ღონისძიებებთან ერთად;	გამოყვანა მოხდება საკურორტო სეზონის დასრულების შემდგომ, რაც ასევე შეამცირებს და მინიმუმამდე დაიყვანს სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედების რისკებს. სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედების შეფასება მოცემულია დანართში N4.
6	სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ჰესის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შედეგად, მოკლე და გრძელვადიანი ზემოქმედებების შეფასების შესახებ ინფორმაცია კურორტ ბახმაროს ბიომრავალფეროვნებაზე;	<p>ბახვი1 ჰესის სამშენებლო სამუშაოების მცირე მოცულობებიდან გამომდინარე, კურორტის ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, კერძოდ: მცენარეული საფარის გარემოდან ამოღება საჭირო იქნება მხოლოდ სადაწნეო მილსადენის დერეფნის 30 მეტრამდე სიგანის დერეფანში, ხოლო მილსადენის საწყის წერტილი საკურორტო ზონის საზღვრიდან დაცილებული იქნება 2 კმ-ზე მეტი მანძილით. წინასწარი კვლევის შედეგების მიხედვით, პროექტის დერეფანში საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები დაფიქსირებული არ არის. ამასთანავე მილსადენის საპროექტო დერეფანი გაივლის მდინარე ბახვისწყლის მარჯვენა ფერდის დაბალ ნიშნულებზე, სადაც მცენარეთა სახეობებს შორის დომინანტია მურყანი. შესაბამისად ჭრას დაექვემდებარება წიწვოვანი სახეობების მხოლოდ ერთეული ეგზემპლარები. წიწვოვანი მცენარეების ჭრას ადგილი არ ექნება კურორტის სარეკრეაციო ზონაში და შესაბამისად კლიმატური პირობებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.</p> <p>გრძელვადიან პერიოდში, კერძოდ ბახვი 1 ჰესის ექსპლუატაციის ფაზაზე ხმელეთის ბიოლოგიურ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების რისკები მინიმალურია და შესაბამისად კურორტ ბახმაროს ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ იარსებებს.</p> <p>ზემოქმედებას ადგილი ექნება წყლის ბიოლოგიურ გარემოზე, კერძოდ: მდინარეში წყლის დონის შემცირება უარყოფით გავლენას მოახდენს იქთოფაუნაზე და გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ბახვი 1 ჰესის ქვედა დინებაში მოქცეულია დღეს მოქმედი ბახვი 3 ჰესი და საპროექტო ბახვი 2 ჰესი.</p> <p>ბახვი 1 ჰესის საპროექტო მონაკვეთზე და მის ზედა დინებაში ბინადრობს მხოლოდ ნაკადულის კალმახი, რომელსაც თავისი ცხოვრების ნირიდან გამომდინარე ახასიათებს მიკროპოპულაციების ჩამოყალიბება და ეფექტური თევზსავალის მოწყობის და მისი სწორი ექსპლუატაციის პირობებში, უშუალოდ საკურორტო ზონის ფარგლებში და მის ზედა დინებაში შენარჩუნებული იქნება თევზის ამ სახეობის ბუნებრივი საარსებო პირობები.</p>

		მდინარე ბახვისწყლის საპროექტო მონაკვეთზე იქთიოფაუნაზე ზემოქმედების რისკების შემცირების მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული იქნება შესაბამისი შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებები, რაც განისაზღვრება გზმ-ს ეტაპზე.
7	<p>წარმოდგენილი 198568 კვ.მ. ფართობიდან (shp-ფაილები), რომელიც მოიცავს სახიდე გასასვლელებს (აკვედუკებს), ბანაკებს, გზებს, მარცხენა და მარჯვენა სათავეს, მილსადენს, სადგურის და სარეზერვო წყალსაცავის ფართობებს, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 105996კვ.მ. ფართობი წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. კერძოდ, 95374 კვ.მ. ხვდება ოზურგეთის სატყეო უბნის მთისპირის სატყეოს N17, N22 და N23 კვარტლებში. 95374 კვ.მ ნაწილობრივ ზედდება სახელმწიფო ტყის ფონდად რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ 28.24.22.158. ხოლო 10622 კვ.მ. ხვდება ჩოხატაურის სატყეო უბნის ბახმაროს სატყეოს N10, N11 და N13 კვარტლებში. ასევე, წარმოდგენილი ფუჭი ქანების მოწყობისათვის განკუთვნილი ტერიტორიის მთლიანი 17068 კვ.მ-დან (გეოგრაფიული კოორდინატები: 1. X 275759 – Y 4638488; 2. X 275679 – Y 4638359; 3. X 275719 – Y 4638252; 4. X 275762 – Y 4638274; 5. X 275765 – Y 4638304; 6. X 275788 – Y 4638477), სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს წარმოადგენს 1285 კვ.მ., რომელიც მდებარეობს ჩოხატაურის სატყეო უბნის ბახმაროს სატყეოს კვარტალ N10-ის N15 და N19 ლიტერებში. გარდა ამისა, ვინაიდან კანონმდებლობა სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე არ ითვალისწინებს სანაყაროების მოწყობას, სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი და განხილული უნდა იქნეს სანაყაროს</p>	<p>სამინისტროს მიერ წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით, შეცვლილია ფუჭი ქანების სანაყაროს ადგილმდებარეობა და სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“-ს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის გამოყენებას ადგილი არ ექნება.</p> <p>ანალოგიურად მოხდა სათავე ნაგებობებთან მისასვლელი გზის დერეფნის კორექტირება და შერჩეული მარშრუტი აღარ კვეთს სატყეო ფონდის მიწებს (იხილეთ თანდართული სქემა დანართ 5-ში).</p> <p>სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე არ იქნება მოქცეული, ასევე ჰესის სათავე ნაგებობები და სამშენებლო ბანაკი. რაც შეეხება სადაწნო მილსადენის და ძალური კვანძის დერეფნებს, მათი სატყეო ფონდის ტერიტორიაზე განთავსება, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან სახელმწიფოსთან გაფორმებული მემორანდუმით (რომელიც გაფორმდა 2020 წლის, 21 აგვისტოს) ბახვი 1 ჰესის პროექტისათვის განსაზღვრული მდ. ბახვისწყლის ხეობის ნიშნულები, მდებარეობს ტყის ფონდის ტერიტორიის ფარგლებში.</p> <p>სანაყაროს განთავსების ტერიტორიის სიტუაციური სქემა სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დატანით მოცემულია დანართში 5, ხოლო სანაყარო გეოგრაფიული კოორდინატების shp ფაილები თან ერთვის მოცემულ წერილს.</p>

	<p>განთავსების ადგილის ისეთი ალტერნატიული ვარიანტები, რომლებიც არ მოხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე; ამასთან მნიშვნელოვანია, დასაბუთდეს რატომ არის შერჩეული ისეთი ალტერნატივა, სადაც ჰესისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განთავსება იგეგმება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე;</p>	
8	<p>პროექტით გათვალისწინებულია 4100 მ სიგრძის სადაწნო მილსადენის მშენებლობა, რაც დაკავშირებულია შესაბამის მონაკვეთზე მდინარის წყლის რეჟიმის ცვლილებასთან. ვინაიდან, პროექტის მიხედვით, გასატარებელი ეკოლოგიური ხარჯი იქნება 0.29 მ³/წმ. სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია შემცირებული ეკოლოგიური ხარჯის პირობებში ბიომრავალფეროვნებაზე მათ შორის წყლის და წყალზე დამოკიდებულ სახეობებზე ზემოქმედების შესახებ. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს თევზსავალის და თევზამრიდის ეფექტურობა. დარჩენილი წყლის საკმარისობის საკითხი, წყლის ბიომრავალფეროვნების არსებობის უზრუნველყოფის თვალსაზრით შეფასებული იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტის მიერ.</p>	<p>ბახვი 1 ჰესის სათავე ნაგებობების ქვედა ბიეფში გასატარებელი ეკოლოგიური ხარჯის დაზუსტებული რაოდენობა განისაზღვრება დეტალური პროექტირების ფაზაზე და აისახება გზშ-ის ანგარიშში. სკოპინგის ფაზაზე განსაზღვრული ხარჯის რაოდენობა შეადგენს 0.29 მ³/წმ-ს, რასაც დაემატება პროექტის გავლენის ზონაში მოქცეულ მონაკვეთზე არსებული მცირე შენაკადების წყალი. პროექტის გავლენის ზონაში მოქცეულ მონაკვეთზე არსებული მდ. ბახვისწყლის შენაკადების ხარჯების შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართში N6 (მდ. ბახვისწყლის მოკლე ჰიდროგრაფიული დახასიათება). საპროექტო მონაკვეთზე მდ. ბახვისწყალს გააჩნია 32 სხვადასხვა სიდიდის შენაკადი, რომელთა საერთო საშუალო წლიური ხარჯი შეადგენს 0.332 მ³/წმ-ს. შენაკადების წყალი მდინარეს დაემატება დერივაციის სხვადასხვა მონაკვეთზე, რაც გარკვეულად გაზრდის მდინარეში გატარებული წყლის რაოდენობას და დადებითად აისახება წყლის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შემცირების თვალსაზრისით.</p> <p>სათავე ნაგებობის საპროექტო კვეთში მდ. ბახვისწყლის საშუალო მრავალწლიური ხარჯი შეადგენს 2.44 მ³/წმ-ს, შესაბამისად სკოპინგის ფაზაზე განსაზღვრული მინიმალური ეკოლოგიური ხარჯი 0.29 მ³/წმ შეადგენს საშუალო ხარჯის ≈12%-ს.</p> <p>მდ. ბახვისწყლის საპროექტო მონაკვეთზე მდინარის კალაპოტი უპირატესად V-ს მაგვარია, რაც განაპირობებს გატარებული ეკოლოგიური ხარჯის ერთარხიანი დინების შესაძლებლობას. წყლის ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გეგმით გათვალისწინებული იქნება ყოველი წყალდიდობის შემდეგ მდინარის კალაპოტის დათვალიერება და საჭიროების შემთხვევაში კალაპოტის კორექტირება, რათა შენარჩუნებული იქნას იქთიოფაუნის საარსებო გარემოს და მიგრაციის პირობები.</p> <p>გატარებული ეკოლოგიური ხარჯის რაოდენობის სისტემატური კონტროლის მიზნით, სათავე ნაგებობის ქვედა ბიეფში დაგეგმილია ავტომატური ხარჯმზომის</p>

		<p>მოწყობა, რომლის საშუალებით ონლაინ რეჟიმში მოხდება ხარჯის აღრიცხვა და შედეგები წარდგენილი იქნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში.</p> <p>როგორც მდ. ბახვისწყლის, ასევე მდ. ბაისურასლელეს სათავე ნაგებობებზე დაგეგმილია თევზსავალების მოწყობა. წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მიხედვით, ამ ეტაპზე განიხილება ე.წ. კიბისებური (აუზებიანი) თევზსავალის მოწყობა, მაგრამ საპროექტო დამბების დაბალი სიმაღლის გათვალისწინებით დეტალური პროექტირების ეტაპზე შესაძლებელია მიღებული იქნას, მდინარის ბუნებრივ პირობებთან მიახლოებული შემოვლითი არხის მოწყობის გადაწყვეტილება.</p> <p>წყალმიმღებში თევზის მოხვედრასთან დაკავშირებული რისკების მინიმინიზაციის მიზნით, გათვალისწინებული იქნება თევზამრიდი ნაგებობა/მოწყობილობის დამონტაჟება. თევზამრიდის დიზაინის დეტალები, განისაზღვრება დეტალური პროექტირების ეტაპზე.</p> <p>მდ. ბახვისწყლის საპროექტო მონაკვეთის წყლის ბიოლოგიური გარემოს ფონური მდგომარეობა შესწავლილია შპს „გამა კონსალტინგი“-ს იქთიოლოგიური კვლევის ჯგუფის მიერ.</p> <p>გზშ-ის ფაზაზე ჩატარებული იქნება დამატებითი დეტალური კვლევები და კვლევის შედეგების მიხედვით განისაზღვრება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. გზშ-ის ფაზისათვის მომზადებული იქნება თევზსავალის (თევზსავალების) დეტალური პროექტი და მოხდება ეფექტურობის შეფასება.</p>
9	<p>სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შედეგად ხმაურის წარმოქმნილი წყაროებისა და რეცეპტორების შესახებ. მითითებულია (გვ. 78), რომ „ძირითადი სამუშაოების წარმოების ტერიტორიიდან საცხოვრებელი ზონები დაშორებულია დიდი მანძილით (კურორტ ბახმაროდან დაცილების მანძილი შეადგენს 3.5 კმ-ს), რაც თავისთავად ამცირებს ნეგატიური ზემოქმედებების რისკებს. შესაბამისად, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების და ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებული ზემოქმედების რისკები მინიმალურია.“ სკოპინგის</p>	<p>შენიშვნა იმასთან დაკავშირებით, რომ უახლოეს რეცეპტორამდე დაცილების მანძილი შეადგენს 3.5 კმ-ს გათვალისწინებულია და შესაბამისად სამინისტრომ უნდა იხელმძღვანელოს ქვემოთ მოცემული შესწორებული მონაცემებით. მშენებლობის ფაზაზე ხმაურის გავრცელების ძირითადი წყაროები წარმოდგენილი იქნება სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე, რომლის დაცილება უახლოესი რეცეპტორებიდან, ახალი ადგილმდებარეობის მიხედვით შეადგენს:</p> <ul style="list-style-type: none"> • კურორტ ბახმაროს განაპირა საცხოვრებელი სახლი - 1130 მ; • ჩადრეკილის დასახლება - 635 მ. <p>სკოპინგის ანგარიშის 4.1. პარაგრაფში მოცემული გაანგარიშების მიხედვით, ჩადრეკილი და კურორტ ბახმაროს საზღვრებზე ხმაურის გავრცელების დონეები შესაბამისად შეადგენს არაუმეტეს 25 დბა-ს და 16 დბა-ს.</p>

	<p>ანგარიშში წარმოდგენილ ნახაზზე 3.2 „კომუნიკაციების განლაგების სიტუაციური სქემა“ (გვ. 28) ნაჩვენებია, რომ უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს 1940 მეტრის დაშორებით. შესაბამისად, ზემოაღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. გარდა ამისა, სამშენებლო სამუშაოების შესრულებისას მშენებლობაში გამოსაყენებელი მასალების ტრანსპორტირება და სამშენებლო ტექნიკის გადაადგილება მოხდება კურორტ ბახმაროს გავლით, ხოლო დასახლებული პუნქტი სამშენებლო ბანაკიდან დაშორებულია დაახლოებით 600-700 მეტრით, რაც დაკავშირებული იქნება დასახლებულ პუნქტზე ხმაურის გავრცელებასთან და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევასთან. აღნიშნული საკითხი განხილული არ არის (შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებებით) სკოპინგის ანგარიშში.</p>	<p>აღნიშნულის გათვალისწინებით, კურორტის აკუსტიკურ ფონზე ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.</p> <p>რაც შეეხება სატრანსპორტო ოპერაციების შესრულებას, როგორც სკოპინგის ანგარიშშია მოცემული, სათავე ნაგებობებზე მისასვლელი გზა მოეწყობა ჩადრეკილის დასახლების მიმდებარედ გამავალი არსებული გზის დერეფანში და საკურორტო ზონაში სატრანსპორტო ოპერაციების შესრულებას ადგილი არ ექნება. ამასთანავე, სამშენებლო მასალების ნაწილი შემოტანილი იქნება ქვედა ბიეფიდან დაგეგმილი გზით.</p> <p>ხმაურის გაანგარიშების შედეგები მოცემულია დანართში 7.</p>
10	<p>სკოპინგის ანგარიშში გვ. 77, თავი 4.6 „ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება“ მითითებულია, რომ „ვიზუალური ზემოქმედების დახასიათებისას პირველ რიგში გასათვალისწინებელია საპროექტო ტერიტორიების განლაგება ზემოქმედების რეცეპტორებთან მიმართებაში, კერძოდ ვიზუალური თვალთახედვის არეალში ექცევა თუ არა ზემოქმედების წყაროები. საპროექტო არეალი დიდი მანძილებითაა დაცილებული უახლოესი საცხოვრებელი ზონებიდან. უახლოესი დასახლებული პუნქტი კურორტი ბახმარო სათავე ნაგებობის განთავსების ადგილიდან დაცილებულია 3.0-3.5 კმ-ით.“ სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილ ნახაზზე 3.2 „კომუნიკაციების განლაგების სიტუაციური სქემა“ (გვ. 28) ნაჩვენებია, რომ უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს 1940 მეტრის დაშორებით, გარდა ამისა, ზედა ბიეფის ნიშნულია 1745 მ, ხოლო უშუალოდ კურორტი ბახმარო კი მდებარეობს 1926-2050 მეტრზე,</p>	<p>კურორტ ბახმაროს საკურორტო ზონის დასახლება მდებარეობს მდ. ბახვისწყლის ხეობის ქვაბულში და ადგილობრივი რელიეფური პირობებიდან გამომდინარე, საპროექტო ჰესის სათავე ნაგებობების სამშენებლო მოედნები, სამშენებლო ინფრასტრუქტურის განთავსების ადგილები და მისასვლელი გზების დერეფნები ხილული არ არის. მისასვლელი გზის დერეფნის მოკლე მონაკვეთი გაივლის ჩადრეკილის დასახლების მიმდებარედ არსებული გზის გამოყენებით, სათავე ნაგებობების განთავსების ადგილები და სამშენებლო ბანაკის ტერიტორია ხილული არ იქნება. იხილეთ დანართი 8.</p> <p>აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მიხედვით გათვალისწინებულია, დაბალი დამბების მოწყობა სადაც დიდი სარკის ზედაპირის მქონე შეგუბება არ შეიქმნება. მართალია სათავე ნაგებობების განთავსების ტერიტორიაზე ადგილი ექნება ვიზუალურ-ლანდშაფტურ ცვლილებებს, მაგრამ ცვლილებები იქნება ლოკალური და შესამჩნევია იქნება მხოლოდ მწყემსებისა და უშუალოდ საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს მოხვედრილი ვიზიტორებისათვის.</p>

	შესაბამისად, ვიზუალური-ლანდშაფტური ზემოქმედების კუთხით, წარმოდგენილი უნდა იქნეს კურორტი ბახმაროდან საპროექტო ჰესამდე რელიეფური სურათი, რაც დაადასტურებს რომ საკურორტო ზონიდან არ იქნება ხილული ჰესის ინფრასტრუქტურა;	გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება ითქვას, რომ საპროექტო ჰესის პროექტის განხორციელება კურორტ ბახმაროს ვიზუალურ-ლანდშაფტურ ფონზე ნეგატიურ ზემოქმედებას არ მოახდენს.
11	სკოპინგის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასების და მისი აუცილებლობის დასაბუთების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონა გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;	<p>ბახვი 1 ჰესის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების პროექტის წინაწარი შეფასების შედეგების მიხედვით, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე შეუქცევად ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.</p> <p>ჰესის ექსპლუატაციის ეტაპზე გარემოზე ყველაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების სახედ უნდა ჩაითვალოს პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული მდ. ბახვისწყლის მონაკვეთზე ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილება და წყლის ბიოლოგიურ გარემოს საარსებო პირობების გაუარესება. სკოპინგის ანგარიშში მოცემული შემარბილებელი ღონისძიებები, რომლებიც დაკონკრეტებული და გაშლილი იქნება დეტალური პროექტის მომზადებისას და შესაბამისად აისახება გზშ-ის ანგარიშში, შესაძლებელს გახდის ზემოქმედების რისკების მინიმუმამდე შემცირებას.</p> <p>რაც შეეხება პროექტის განხორციელებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში, სკოპინგის ფაზაზე ამ სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ინფორმაციის სრულყოფილად მოძიება შეუძლებელი იყო და ის წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ანგარიშში.</p> <ul style="list-style-type: none"> • გზშ-ის ფაზაზე დაზუსტებული იქნება პროექტის ღირებულება, მათ შორის: <ul style="list-style-type: none"> ○ სამშენებლო სამუშაოებს და დანადგარ მოწყობილობის ღირებულება; ○ ხელფასის სახით გასაცემი თანხები; ○ ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტის გადასახადები, როგორც მშენებლობის ასევე ექსპლუატაციის ფაზებისათვის; ○ პროექტის განმახორციელებელი კომპანიის მიერ დაგეგმილი სოციალური პროექტების სახეები და ამისათვის გათვალისწინებული ხარჯები; ○ გარემოზე ზემოქმედების შემცირების და მიყენებული ზიანის საკომპენსაციო ღონისძიებების ხარჯები. • გზშ-ის ფაზაზე ჩატარდება პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული ტერიტორიების ბიოლოგიური გარემოს დეტალური კვლევა, განისაზღვრება ჭრას დაქვემდებარებული ხე მცენარეების სახეობრივი და რაოდენობრივი შემადგენლობა და მცენარეულ საფარზე მიყენებული ზიანის ოდენობა;

		<ul style="list-style-type: none"> • განისაზღვრება ფაუნის სახეობებზე (მათ შორის იქთიოფაუნაზე) შესაძლო ზემოქმედების რისკები და შეფასდება მიყენებული ზიანის ოდენობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში); • ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის ფაზებზე სოციალურ გარემოზე ზემოქმედების რისკები მინიმალურია.
12	<p>სკოპინგის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს ჰესისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განლაგების ადგილები შესაბამისი Shp ფაილების მითითებით. ამასთან, მნიშვნელოვანია წარმოდგენილ იქნეს თითოეული ინფრასტრუქტურული ობიექტის დაზუსტებული მანძილი კურორტ ბახმაროს დასახლებული პუნქტიდან და ბახმაროს სარეკრეაციო ზონიდან.</p>	<p>სკოპინგის ანგარიშში ჰესის სამშენებლო ინფრასტრუქტურის ობიექტების ადგილმდებარეობა განსაზღვრულია წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების პროექტში მოცემული ინფორმაციის მიხედვით და როგორც წესი დაზუსტებას დაექვემდებარებოდა გზშ-ის ფაზაზე.</p> <p>სამინისტროს წერილში მოყვანილი შენიშვნების საფუძველზე შეცვლილი იქნა სათავე ნაგებობის სამშენებლო ბანაკის და ფუჭი ქანების სანაყაროს განთავსების ადგილები და სამშენებლო ბანაკი გატანილია კურორტის სარეკრეაციო ზონის ფარგლებიდან.</p> <p>საბოლოო განთავსების ადგილიდან, სამშენებლო ბანაკის დაცილება კურორტ ბახმაროს განაპირა საცხოვრებელი სახლიდან შეადგენს ≈ 1130 მ-ს, ხოლო ჩადრეკილის დასახლებიდან ≈ 635 მ-ით.</p> <p>ჰესის სათავე ნაგებობებიდან უმოკლესი მანძილი კურორტის განაპირა სახლამდე შედგენს ≈ 1760 მ-ს, ხოლო ფაფარას დასახლებამდე 1750 მ-ს. (იხილეთ დანართი 9, სურათი 2)</p> <p>სკოპინგის ფაზაზე მიღებული სქემის მიხედვით, საპროექტო სათავე ნაგებობების ძირითადი ნაწილი განლაგებული იქნება კურორტის სარეკრეაციო ზონის საზღვრის უშუალო სიახლოვეს, კერძოდ მდ. ბახვისწყლის და მდ. ბაისურასღელეს დამბების სამშენებლო მოედნები მდებარეობს სარეკრეაციო ზონის საზღვარზე (იხილეთ დანართი 9, სურათი 3)</p> <p>საპროექტო ჰესის ნაგებობების და სამშენებლო ინფრასტრუქტურის განლაგების გეგმა, სათავე ნაგებობების და სამშენებლო ინფრასტრუქტურის სიტუაციური სქემა, კურორტ ბახმაროს დასახლებული ზონებიდან დაცილების მანძილების დატანით, ასევე სათავე ნაგებობების და სამშენებლო ინფრასტრუქტურის მდებარეობა კურორტის სარეკრეაციო ზონის საზღვართან მიმართებაში მოცემულია დანართში 9. ჰესის ნაგებობების და სამშენებლო ინფრასტრუქტურის განთავსების ადგილების</p>

		გეოგრაფიული კოორდინატები თან ერთვის დოკუმენტაციის ელექტრონულ ვერსიას.
13	წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი მუნიციპალიტეტის პოზიცია „ბახმაროს სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის დადგენილებასთან დაგეგმილი საქმიანობის თავსებადობის შესახებ.	გთხოვთ, გაითვალისწინოთ რომ მუნიციპალიტეტთან კომუნიკაცია მიმდინარეობს და საბოლოო პოზიციის მიწოდება სამინისტროსთან მოხდება მუნიპალიტეტიდან პასუხის მიღებისთანავე.
14	წარმოდგენილი უნდა იქნეს საპროექტო ტერიტორიის სეისმოლოგიური შეფასების შესახებ ინფორმაცია და აღნიშნული შეფასებისათვის გამოყენებული ლიტერატურული მონაცემების რუკების და განხორციელებული/განსახორციელებელი კვლევების შესახებ ინფორმაცია;	როგორც სკოპინგის ანგარიშის 4.2.3. პარაგრაფშია მოცემული, ბახვი 1 ჰესის საპროექტო დერეფნის სეისმური პირობების შესახებ ინფორმაცია აღებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 7 ოქტომბრის №1-1/2284 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლო ნორმები და წესებიდან „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09). პროექტის შემდგომი წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ეტაპზე შესრულდება დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩატარება და შეფასებული იქნება საპროექტო დერეფნის ტექტონიკური და სეისმური პირობები. მოცემული ვალდებულებების შესრულება კომპანიას ეკისრება მთავრობასთან 2020 წლის 21 აგვისტოს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში და შესაბამისი კვლევების დასრულება გათვალისწინებულია 2021 წლის დეკემბერში.
15	განხილული უნდა იყოს რეგიონში არსებული და დაგეგმილი ჰესების კუმულაციური ზემოქმედების შეფასების შესახებ ინფორმაცია, როგორც მშენებლობის ეტაპისთვის, ასევე ექსპლუატაციის ფაზაზე, მათ შორის ზედა ბიეფში არსებული ჰესების და დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურის ჯამური ზემოქმედება, როგორც წყლის რესურსებზე, ასევე წყალზე დამოკიდებულ სახეობებზე.	სკოპინგის ანგარიშში მოცემულია გზშ-ს ფაზაზე შეფასებას დაქვემდებარებული კუმულაციური ზემოქმედების სახეების ჩამონათვალი. კუმულაციური ზემოქმედების რისკები უნდა შეფასდეს ექსპლუატაციაში მყოფი ბახვი 3 და საპროექტო ბახვი 1 და ბახვი 2 ჰესებისათვის. იხილეთ დანართი 10
16	წარმოდგენილი უნდა იყოს დაზუსტებული ეკოლოგიური ხარჯის ოდენობა (თევების მიხედვით) და მისი გამოთვლის მეთოდოლოგია.	ეკოლოგიური ხარჯის დაზუსტებული ოდენობის განსაზღვრა შესაძლებელი იქნება გზშ-ის ფაზაზე, როცა დამთავრებული იქნება საპროექტო დერეფნის დეტალური კვლევები (მდინარის ჰიდროლოგიური რეჟიმი, მდინარის კალაპოტის გეომორფოლოგიური პირობები, წყლის ბიოლოგიური გარემო და სხვა). როგორც დოკუმენტშია მოცემული, სკოპინგის ეტაპზე ეკოლოგიური ხარჯი განსაზღვრულია,

		<p>საპროექტო კვეთში მდ. ბახვისწყლის საშუალო მრავალწლიური ხარჯის 12%-ის ოდენობით.</p> <p>სკოპინგის ფაზაზე ეკოლოგიური ხარჯის შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართში 11</p>
17	<p>სკოპინგის ანგარიშში მითითებულია, რომ პროექტის განხორციელებისათვის საჭიროა მისასვლელი გზებისა და სახიდე გადასასვლელების მოწყობა. შესაბამისად, წარმოდგენილ უნდა იქნეს ინფორმაცია აღნიშნული ინფრასტრუქტურის მოწყობის შედეგად ზემოქმედების და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ.</p>	<p>სკოპინგის ანგარიშში მისასვლელი გზების მიღებული ალტერნატიული ვარიანტის მიხედვით, სახიდე გადასასვლელების მოწყობა გათვალისწინებული არ არის. სახიდე გადასასვლელების მოწყობა საჭირო იქნებოდა იმ შემთხვევაში თუ სათავე ნაგებობებთან მისასვლელი გზა მოეწყობოდა საკურორტო ზონის გავლით, მდინარე ბახვისწყლის სანაპიროს გასწვრივ, რაც უარყოფილი იქნა გარემოზე ზემოქმედების შედარებით მაღალი რისკებიდან გამომდინარე.</p>
18	<p>მოცემული უნდა იყოს მდინარის რეჟიმის მიხედვით ელექტროენერგიის გამომუშავების შესახებ ინფორმაცია სეზონების შესაბამისად;</p>	<p>გთხოვთ იხილოთ დანართი 12</p>
19	<p>სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია მოხდება, თუ არა ჰესისათვის საჭირო ინფრასტრუქტურული ობიექტებით კურორტ ბახმაროს წყალმომარაგება-კანალიზაციის ქსელის გადაკვეთა;</p>	<p>ჰესის საპროექტო დერეფნის კურორტ ბახმაროს ტერიტორიიდან დაცილების მანძილის გათვალისწინებით წყალმომარაგება-კანალიზაციის ქსელების გადაკვეთის ან სხვა რაიმე ზემოქმედების რისკები პრაქტიკულად არ არსებობს.</p> <p>გთხოვთ იხილოთ დანართი 13:</p> <p>13 ა - საპასუხო წერილი UWSCG და</p> <p>13 ბ - კურორტ ბახმაროს გენერალური გეგმის მიხედვით არსებული წყალარინების ქსელი და ბახვი 1 ჰესის ადგილმდებარეობა</p>
20	<p>სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად ადგილობრივი მუნიციპალიტეტისთვის შესაძლო სარგებელი. ასევე, ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ეკონომიკური სარგებელი ქვეყნისთვის და ადგილობრივი მუნიციპალიტეტისთვის.</p>	<p>როგორც სკოპინგის ანგარიშშია მოცემული, მემორანდუმის მიხედვით ინვესტორს განესაზღვრა ვალდებულება, რომ ქვეყნის ელექტროენერგიით მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, ზამთრის თვეებში გამომუშავებული ელექტროენერგიის რეალიზაცია განხორციელოს საქართველოს შიდა (ადგილობრივ) ბაზარზე. აღნიშნულის შესაბამისად ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით დეფიციტურ სეზონზე (ზამთრის თვეებში, მაშინ როცა ქვეყანაში არის ელექტრო ენერგიის დეფიციტი და მაღალია ელექტროენერგიის იმპორტის საჭიროება) რეალიზებული იქნება ადგილობრივ ბაზარზე. აღნიშნული გარკვეულწილად შეამცირებს ქვეყანაში იმპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობას.</p>

		<p>აღსანიშნავია დაგეგმილი საქმიანობის დადებითი ზემოქმედება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, რაც აისახება დროებითი და მუდმივი სამუშაო ადგილების შექმნასა და ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდაში, აღნიშნულის ნათელი მაგალითია ის ფაქტი, რომ რეგიონში მშენებარე ჰესების სამშენებლო სამუშაოებზე და ექსპლუატაციის პროცესში დასაქმებულთა უმრავლესობა ადგილობრივი პერსონალია.</p> <p>ჰესის ექსპლუატაციის ფაზაზე ადგილობრივი ბიუჯეტი მიიღებს ქონების საშუალო ღირებულების 1%-ს და მიწის გადასახადს.</p> <p>დამატებით ინფორმაციისათვის გთხოვთ იხილოთ დანართი 14-ში.</p>
21	აღსანიშნავია, რომ კურორტ ბახმაროს და მის მიმდებარე ტერიტორიებზე გავრცელებულია მესაქონლეობა, აღნიშნულიდან გამომდინარე შეფასებული უნდა იყოს პროექტის განხორციელების შედეგად, მდინარის წყლის საკმარისობა მესაქონლეობისთვის საჭირო წყალმომარაგების საკითხებთან.	<p>ბახვი 1 ჰესის საპროექტო დერეფნის მხოლოდ სათავე ნაგებობის მიმდებარე ტერიტორიების გამოყენება ხდება პირუტყვის საძოვრად, სადაც ჰესის ექსპლუატაციის ფაზაზე დაწყებულბასთან დაკავშირებით პრობლემებს ადგილი არ ექნება. რაც შეეხება სადაწნეო მილსადენის დერეფანს, ეს ტერიტორიები საძოვრებად არ გამოიყენება რთული გეომორფოლოგიური პირობებიდან გამომდინარე.</p>
22	წარმოდგენილ უნდა იქნეს ბახვი 1 ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ქვეყნის ენერგოსისტემაში ჩართვის სქემა;	<p>ბახვი 1 ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია გადაეცემა ახალი 110 კვ ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის საშუალებით, ამჟამად ნებართვების მოპოვების ეტაპზე მყოფი 110 კვ ორჯაჭვა ზოტი-ოზურგეთი ელექტროგადამცემ ხაზს, ეს უკანასკნელი ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის (სსე) მიერ.</p> <p>ბახვი 1 ჰესის ქსელთან მიერთების პროექტი ამჟამად შემუშავების ეტაპზეა და შესაბამისად გაივლის კანონმდებლობით მოთხოვნილ ყველა პროცედურას.</p> <p>ბახვი 1 ჰესის ქსელთან მიერთების წინასწარი ცალხაზოვანი სქემა იხილეთ დანართი 15-ში.</p>